



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

მიმართვა

გვინდა, გაცნობოთ, რომ დღეს, 3 აგვისტოს, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/ შეცვლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N496 დადგენილების ცვლილების პროექტის და მასთან დაკავშირებული განხილვების შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გიზიარებთ ჩვენს შეთანხმებულ პოზიციას და შემოთავაზებას: იქიდან გამომდინარე, რომ მინისტრთან შეხვედრა ეხება მაღალ საზოგადოებრივ ინტერესებს, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ეროვნულ და საერთაშორისო პოლიტიკებთან და ვალდებულებებთან, მიზანშეწონილი იქნება, თუ შეხვედრა ჩატარდება შვებულებების პერიოდის დასრულების შემდეგ, სექტემბერში.

წინასწარი მოკვლევით, შვებულებების პერიოდიდან გამომდინარე, პროცესში აქტიურად ჩართული პირების უმეტესობა, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს, ამჟამად მოკლებულია აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობის შესაძლებლობას.

ამასთან, კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ჩვენს მხარდაჭერას სამინისტროს ინიციატივაზე, პროცესს მისცეს ფართო მონაწილეობრივი ხასიათი და სამუშაო ფორმატისა და საგნობრივი დიალოგის პლატფორმის შექმნისთვის გამოიყენოს ეროვნული სატყეო პროგრამა (NFP), რომელიც 2020 წლის ბოლომდე საკვანძო როლს თამაშობდა სატყეო რეფორმის განხორციელების პროცესში. მიგვაჩნია, რომ სამინისტროს ეს გადაწყვეტილება, რომელიც 25 ივლისს, დოკუმენტის საჯარო განხილვის შეჯამების პროცესში ხელმძღვანელი პირების მხრიდან გაჟღერდა, იყო სწორი პასუხი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, ასევე სხვადასხვა სამინისტროების მიერ დასმულ კითხვებზე და კრიტიკულ მოსაზრებებზე.

მოგეხსენებათ, NFP სატყეო დარგში მონაწილეობრივი დიალოგის ფორმატის ევროპული მოდელია, რომელიც საქართველოში 2013 წლიდან მხარდაჭერილია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მომდევნო წლებში დაგეგმილია პლატფორმის მეტი გაძლიერება სხვადასხვა დონორული პროექტების ფარგლებში.

თავის მხრივ, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმა, განსაკუთრებით კი, მისი მესამე სამუშაო ჯგუფი (გარემო, ენერგეტიკა და კლიმატი), აქტიურად იქნება ჩართული დიალოგში, როგორც შინაარსობრივი განხილვის, ასევე ორგანიზებისა და მობილიზაციის მიმართულებით.

პატივისცემით,

საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე
ნინო ჩხოზაძე



საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

ადმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი